“დინამო” (თბილისი) – ცდსა

ოსტატ ფეხბურთელთა საწვრთნელი მატჩი

სოხუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). 27 მარტს სოხუმის “დინამოს” სტადიონზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში თბილისის “დინამოსა” და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდებს შორის.

თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. პირველ ხანებში ინიციატივა მოსკოველთა მხარეს იყო, მათი თავდამსხმელები ცდილობდნენ დასაწყისშივე მიეღწიათ წარმატებისათვის, მაგრამ “დინამოს” დაცვა (ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა) და ნახევარდაცვა (მახარაძე, დავარაშვილი) არმიელებთან ბრძოლაში თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ. შემდგომში თამაში გათანაბრდა და მალე ბურთმა ცდსა–ს მხარეს გადაინაცვლა.

ცოტა ხანში დინამოელთა მარცხენა გარემარბი ხასაია გაიჭრა თავის ფრთაზე და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო. მოსკოველებს ძირითადად დაცვაში უხდებოდათ თამაში. მე–20 წუთზე ხასაიამ მოულოდნელი დარტყმით შორი მანძილიდან მეორე ბურთი გაიტანა და თამაში დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა. ერთადერთ ბურთი გაიტანა მელაშვილმა.

30 მარტი, 1955 წ.